

რეგიონული მედიის ინდუსტრიული კომიტეტის მოწვევა ინტერესთა გამოხატვის თაობაზე

რეგიონული საეთერო მაუწყებლების დაფარვის ზონებში ადგილობრივი აუდიტორიის სატელევიზიო ყურებადობის შეფასების მომსახურების შესყიდვის შესახებ

1. შესავალი

საქართველოში მოქმედი ყველა მედიაპროდუქტის აუდიტორიის წვდომა, გარდა რეგიონული ტელემაუწყებლებისა, თვლადია სხვადასხვა მექანიზმით: დონორთა მხარდაჭერით უკვე მესამე წელია ხორციელდება რადიორეიტინგების თვლა; ონლაინ ტექნოლოგიები და უფასოდ ხელმისაწვდომი რესურსები ინტერენტში იძლევა საშუალებას დააკვირდე ონლაინ მედიის აუდიტორიის ქცევას; ბექდური გამოცემების მეპატრონეებისთვის ცნობილია საკუთარი გამოცემების ტირაჟი და გავრცელების ადგილები; ეროვნული ტელემაუწყებლების დათვლას კი ქვეყანაში ორი ე.წ „მთვლელი“ კომპანია : „თი ვი ემ არ საქართველო“ და „ტრი მედია ინტელიჯენსი“ ახორციელებს. ორივე ამ კომპანიის კვლევის პანელი მოიცავს მხოლოდ დიდ ქალაქებს: თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, რუსთავს, გორს და ზუგდიდს. კვლევითი პანელი არ შედის მცირე დასახლებებში, ამასთან პანელი საერთოდ არ ეხება რამდენიმე რეგიონს - კახეთს, ქვემო ქართლს, შიდა ქართლს და სხვა

რეიტინგი სარეკლამო ბაზარზე „ერთიან მსოფლიო ვალუტად“ ჩამოყალიბდა. მედიარეკლამის განთავსების დამგეგმავები და "ბაიერები" აფასებენ შემოთავაზებულ ალტერნატიულ გადაცემებს, რათა ყველაზე კარგად მიაღწიონ სარეკლამო მიზნებს. მაუწყებლები კი აფასებენ გადაცემის ან სადგურის პოპულარობას და იმას, თუ რა ფასად გაყიდონ რეკლამა გადაცემის განმავლობაში ან მოცემულ არხზე. სხვა მექანიზმით მედიაბიზნესი ვერ ვითარდება. აუდიტორიის ქცევის ცოდნა მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ანალიზისა და დაგეგმვის პროცესშიც.

მედიაბაზრის ღირებულებათა ჯაჭვიდან სრულად ამოვარდნილია რეგიონული ტელევიზიები, რომელთა რაოდენობა სამ ათეულამდეა, რითაც ერთის მხრივ ლოკალურ დონეებზე მოქმედ ტელევიზიებს ერთმევათ განვითარების საშუალება და მეორეს მხრივ საქართველოს ბაზარზე რეკლამის, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო განმთავსებლებს, ერთმევათ შესაძლებლობა - შეისყიდონ რეგიონული ტელევიზიების სარეკლამო მომსახურება და ამ გზით განავითარონ ბიზნესი.

2. ადგილობრივი საეთერო მაუწყებლების მონაცემები

ადგილობრივი საეთერო მაუწყებლების საქმიანობენ თბილისს გარეთ, საქართველოს 8 რეგიონში. მათი დაფარვის რუკა შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

<http://garb.ge/chven-shesaxeb/>

№	კომპანია	ციფრული სამაუწყებლო ხონა	პუნქტი/გადამცემი სადგურის განთავსების ადგილი	ეფექტურად გასხივებული სიმძლავრე ERP, WPM	გეოგრაფიული კოორდინატები	
	კომპანიის დასახელება				ჩრდილოეთ განედი (N)	აღმოსავლეთ გრძედი (E)
1	შპს ტელეკომპანია „გურჯაანი“	GE0259	გურჯაანი	500	41°45'10.99 "	45°48'39.90 "
2	შპს ტელეკომპანია „თანამგზავრი“	GE0259	თელავი	500	41°54'36.30 "	45°28'6.50" "
3	შპს „ეკომი“	GE0261	ლაგოდეხი	500	41°48'42.59 "	46°10'16.80 "
4	სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია“	GE0259	რუსთავი, მარნეული, ბოლნისი	500	41°33'41.80 "	44°58'41.10 "
5	მარნეული tv	GE0259	მარნეული	500	41°29'31.57 "	44°47'17.67 "
6	ბოლნისი	GE0258	ბოლნისი	500	41°25'32.61 "	44°32'22.80 "
7	შპს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთი“	GE0256	გორი	2300	42° 1'56.11"	44° 2'50.90"
8	შპს ტელეკომპანია „დია“	GE0256	ხაშური/გო რი/შიდა ქართლი	500	42° 1'14.01"	43°35'26.00 "
9	შპს ტელე-რადიო კომპანია „ბორჯომი“	GE0256	ბორჯომი	500	41°49'26.50 "	43°23'0.50" "
10	შპს სამაუწყებლო კომპანია "იმერვიზია"	GE0253	ჭიათურა	500	42°17'16.01 "	43°15'39.80 "
11	შპს ტელერადიო კორპორაცია „ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“,	GE0253	ზესტაფონი	500	42° 7'6.30"	43°01'10.77 "
12	შპს „იმპერია“ - მეცხვარხი	GE0255	ახალციხე	500	41°37'48.41 "	42°57'25.00 "
13	შპს ტელერადიოკომპანია „რიონი“,	GE0253	ქუთაისი	2300	42°16'48.89 "	42°44'11.40 "
14	შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „მეგა-ტვ“	GE0253	ხონი	1900	42°19'27.00 "	42°25'20.70 "
15	შპს ტელე-რადიო პრესკომპანია „ზარი“	GE0253	სამტრედია	500	42° 9'50.80"	42°20'33.90 "
16	კოლხეთი 89	GE0253	ჩხოროწყუ	500	42°31'13.99 "	42° 7'32.60" "

17	ჯიხა	GE0250	წალენჯიხა	500	42°36'59.99 "	42° 3'45.20"
17	შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისი“	GE0253	სენაკი	500	42°17'23.70 "	42° 3'27.80"
18	შპს დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია „გურია“	GE0252	ოზურგეთი	500	41°54'49.40 "	41°59'34.70 "
19	შპს დამოუკიდებელი ტელერადიოკომპანია „ოდიში“	GE0250	ზუგდიდი	2300	42°30'27.09 "	41°52'16.60 "
20	შპს „ტელეარხი 25“	GE0252	ბათუმი	500	41°41'37.61 "	41°42'55.20 "
21	ფარვანა	GE0255	ნინოწმინდა			
22	ატვ 12	GE0255	ახალქალაქი			
23	შპს სამაუწყებლო კომპანია „მეცხრე ტალღა“	GE0252	ფოთი	500	42°11'16.29 "	41°42'3.00"

3. მთავარი მოთხოვნები

კანდიდატებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ შემდეგი პუნქტების შესაბამისად:

რეპრეზენტატულობის (საქართველოს მუნიციპალური ზონების მიხედვით) მაჩვენებელი:

გამოყენებადი ტექნოლოგია :

მომსახურების დაწყების თარიღი:

მოსამზადებელი ეტაპების ფაზები:

ექსპლუატაციის დაწყება:

ვადა

აუდოტორიის მზომი მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა მითითებული სამაუწყებლო ზონის მიხედვით:

ღირებულება:

სხვა :

4. ინდუსტრიული კომიტეტის განზრახულობანი

ინდუსტრიული კომიტეტის უზრუნველყოფს მისი გამოცემის წევრების სრულ ჩართულობას წინადადებების შერჩევის, წარმოდგენლ დოკუმენტთან დაკავშირებით კითხვა-პასუხის, და სხვა ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას.

ინდუსტრიული კომიტეტის წევრი ორგანიზაციები გამოხატავენ მზადყოფნას და ინტერესს შეფასების შედეგად მიღებული სერვისების შესაძენად.

5. მოთხოვნები ინტერესთა გამოხატვის მიმართ

კანდიდატები ვალდებული არიან ინტერესის გამოხატვის წერილობით წინადადებასთან ერთად (რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს მოთხოვნათა შესაბამისად) წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტები:

- 1) ოფიციალური სახელწოდება და მისამართი;
- 2) საფოსტო მისამართი;
- 3) სათანადო წესით დამოწმებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან/იურიდიული პირის რეგისტრაციის მოწმობა (და სხვა, დაფუძნების ან/და კომპანიის სახელის ცვლილების შესახებ არსებული დოკუმენტები);
- 4) იურიდიული პირის წესდების სათანადოდ დამოწმებული ასლები;
- 5) კომპანიის რეზიუმე;
- 6) გამოცდილების აღწერა, რომელიც დაადასტურებს კანდიდატის ან კანდიდატის ქვეკონტრაქტორების შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ამავე დოკუმენტის დანართით განსაზღვრული კრიტერიუმები.
- 7) იმ პარტნიორთა სათანადოდ დამოწმებული სია, რომლებიც ფლობენ კანდიდატის წილის/აქციების 5 პროცენტზე მეტს, მათ შორის ინფორმაცია საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ;
- 9) ინფორმაცია ყველა იმ სასამართლო და საარბიტრაჟო პროცესის შესახებ, რომლის მონაწილეც იყო კანდიდატის კორპორატიული ჯგუფის (როგორც განმარტებულია წინა პუნქტში) წევრი ნებისმიერი კომპანია ბოლო 5 წლის განმავლობაში;
- 10) თუ კანდიდატი კონსორციუმია, კონსორციუმის წევრთა სია და ზემოაღნიშნული ყველა დოკუმენტაცია/ინფორმაცია თითოეულ წევრზე.

იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატი ზემოხსენებულ ინფორმაციას არ წარმოადგენს ინტერესის გამოხატვის შესახებ განცხადების წარდგენისას, ან წარმოადგენს არასრულად, მისი წინადადება არ იქნება განხილული.

ინტერესის გამოხატვის შესახებ განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ან/და ინგლისურ ენაზე.

6. განმარტებები და დამატებითი ინფორმაცია

კანდიდატებს შეუძლიათ წარმოადგინონ განცხადებები განმარტებების მოთხოვნის თაობაზე ქვემოთ მოცემულ ელექტრონულ მისამართებზე, არაუგვიანეს 2016 წლის 5 ივლისისა. კომიტეტი ყველა კანდიდატისთვის ხელმისაწვდომს გახდის პასუხებს იმ განცხადებებზე განმარტებების მოთხოვნის თაობაზე, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ზემოაღნიშნულ ვადაში.

7. ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განაცხადის წარდგენა

ინტერესთა გამოხატვის შესახებ განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი, ხელმოწერილი ორიგინალის და ერთი ელექტრონული ასლის (PDF) სახით, რომლებიც უნდა იყოს მოთავსებული კონვერტში და უნდა ჩაბარდეს შემდეგ მისამართზე: თბილისი. ლექონიძის 11. GARB ოფისი. ან გამოგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე info@garb.ge info@rmm.ge k.magradze@gepra.ge (განაცხადი უნდა გაიგზავნოს სამივე მითითებულ მაილზე). სასათაურე ველში მიუთითეთ „ინდუსტრიული კომიტეტი“

8. კანდიდატების შერჩევა, ვადები

კანდიდატთა „მოკლე სიას“ (შორტლისტ), ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განაცხადების წარდგენის შემდგომ, განსაზღვრავს ინდუსტრიული კომიტეტის გამგეობა და ასევე მათ მიერ სათანადოდ მოწვეული წევრისგან შემდგარი საკონკურსო კომისია.

„მოკლე სიაში“ შესულ კანდიდატებს გაეგზავნებათ მოთხოვნა პროექტთან დაკავშირებით სრული ტექნიკური და კომერციული წინადადებების, მათ შორის პროექტირებასთან, ქსელის აგების, ექსპლუატაციასთან და დაფინანსებასთან დაკავშირებით.

კანდიდატების „მოკლე სიის“ შესარჩევი კრიტერიუმები განსაზღვრულია დანართი 1-ით.

9. ვალდებულებისგან თავისუფლება

ამ მოწვევით, ინდუსტრიული კომიტეტი არ იღებს ვალდებულებას შეარჩიოს რომელიმე კანდიდატი, ან აუნაზღაუროს რაიმე ხარჯი ნებისმიერ კანდიდატს. დოკუმენტების წარდგენა კანდიდატს არ ანიჭებს ინდუსტრიული

კომიტეტის მიმართ რაიმე მოთხოვნის წარდგენის უფლებამოსილებას იმის გამო, რომ ასეთი კომპანია ან კონსორციუმი გამოეხმაურა მოთხოვნას წინადადებების წარდგენის თაობაზე.

ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის საპასუხოდ გაწეული ყველა ხარჯი და ნებისმიერი შემდგომი ინფორმაციის მოთხოვნა იქნება კანდიდატის ხარჯების ნაწილი.

10. ინდისტრიული კომიტეტის უფლებამოსილებები

ინდუსტრიული კომიტეტი უფლებამოსილია:

- უარი თქვას ან შეცვალოს ინტერესთა გამოხატვაზე მოწვევის პირობები (მათ შორის, „მოკლე სიის“ კრიტერიუმები);
- კანდიდატის მიერ წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით მოითხოვოს დაზუსტება ან დამატებითი დოკუმენტაცია;
- დისკვალიფიკაცია მისცეს ნებისმიერ იმ კანდიდატს, რომლის განაცხადი ინტერესის გამოხატვაზე არ შეესაბამება ამ მოწვევით განსაზღვრულ ინსტრუქციებს;
- დისკვალიფიკაცია მისცეს ნებისმიერ იმ კანდიდატს, რომელიც ინტერესის გამოხატვაზე განაცხადში დაამახინჯებს არსებულ ფაქტებს;
- უკან გამოიწვიოს ეს მოწვევა ინტერესთა გამოხატვაზე, ან ხელმეორედ მოიწვიოს კანდიდატები იმავე ან სხვა საფუძველით.
- არ მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას ამ პროცესის შედეგად ან განაგრძოს კანდიდატების შერჩევა, ან გაუგზავნოს „მოკლე სიაში“ მოხვედრილ კანდიდატებს მოთხოვნა წინადადებების წარდგენის თაობაზე; და/ან
- შეიტანოს ნებისმიერი ცვლილება ინტერესთა გამოხატვის და შეფასების ვადებში, ან ამ მოწვევის სტრუქტურაში, ან შინაარსში

დანართი 1 – „მოკლე სიის“ კრიტერიუმები

ა. გამოცდილება

ბ. ღირებულება

დ) მოცვა

ე)

ინოვაცია